საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21/ 558 37 80 90

Mail:expert_development@gmail.com

08/09/2020 წელი

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა №1 საკადასტრო კოდით №01.14.14.003.122 მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით №01.14.14.003.176, №01.14.14.003.149, №01.14.14.003.124, №01.14.14.003.094, №01.14.14.003.017, №01.14.14.003.004, №01.14.14.003.130, №01.14.14.003.192 და №01.14.14.002.076 განთავსებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საპროექტო სამუშაოების მიხედვით საკადასტრო შენობა №1 და №2-ის დემონტაჟის პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობის საექსპერტო კვლევა

ქ.თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა №1 შემოწმებულ იქნა საკ. კოდით №01.14.14.003.122 მიწის ნაკვეთი. კვლევას საფუძვლად დაედო საპროექტო გადაწყვეტილება კერძოდ, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული ორ სართულიანი მანსარდული ტიპის შენობის დემონტაჟი. კვლევის მიზანს წარმოადგენს განვსაზღვროთ სადემონტაჟო შენობის ირგვლივ არსებული შენობების კონსტრუქციული მდგომარეობა და სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად ზეგავლენის წარმოქმნის შესაძლებლობა, შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების დახასიათება

საპროექტო-სადემონტაჟო მიწის ნაკვეთზე განთავებული დაუსრულებელი შენობა კერძოთ №1 და №2 კონსტრუქციული თვალსაზრისით არასათანადო მახასიათებლების შედეგად იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს დემონტაჟს. შენობის საძირკველი განხორციელებულია მონოლითურ რკინა-ბეტონის ფილაზე, არსებული შენობა რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა და სადემონტაჟო შენობის სართულშუა გადახურვა განხორციელებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ფილით. სადემონტაჟო სამუშაოების მიხედვით ხორციელდება დაუსრულებელი შენობის ნაწილის №1 და №2-ის სრული დემონტაჟი.

მოსაზღვრე ტერიტორიებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების კვლევა და სადემონტაჟო სამუშაოებთან სამუშაოების ფარგლებში შესაძლო ზეგავლენის დადგენა

საპროექტო ნაკვეთს ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.176 (ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37ბ), საიდანაც სადემონტაჟო ნაგებობას ესაზღვრება მრავალფუნქციური კომპლექსი. არსებული მდგომარეობის შეწავლით დგინდება, რომ აღნიშნულ კომპლექსი სადემონტაჟო შენობიდის არეალიდან დაცილებულია დაახლოებით 17 მეტრის მანძილით. აღნიშნული მომიჯნავე შენობის მიმართ, სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით გამოირიცხება ყოველგვარი სახის ზეგავლენის წარმოქმნის პირობა, ვინაიდან სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით არ არსებობს იმის პირობა, რომ წარმოიქმნას ისეთი სახის ვიბრაციები და დატვირთვები, რაც უშუალოდ იქონიებდა აღნიშნულ მანძილზე უარყოფით ზეგავლენას.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.149 (ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37ლ) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული შენობა განთავსებულია სადემონტაჟო ნაგებობიდან საკმარისად დიდი მანძილის მოშოროებით დაახლოებით 29 მეტრის დაშორებით, რის შედეგად სადემონტაჟო სამუშაოები მომიჯნავე შენობის მიმართ არ იქონიებს არავითარ სახის უარყოფით ზეგავლენას.

საპროექტო ნაკვეთს, უკანა მხრიდან ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.124 (ქ.თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა №19) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. ჩატარებული კვლევის შედეგად აღნიშნულ შემთხვავშიც შენობა განთავსებულია სადემონტაჟო შენობის არელიდან დაახლოებით 12 მეტრის მოშორებით. სადემონტაჟო სამუშაოების ფარგლებში გამორიცხულია ისეთი სახის დატვირთვების წარმოქმნის პირობა, რაც მოცემულ მონაკვეთზე და მანძილზე იქონიებს უარყოფით ზეგავლენას.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.094 (ქ.თბილისი, ქუჩა თ. აბულაძე №31) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია შვიდ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული შენობა განთავსებულია სადემონტაჟო ნაგებობიდან ყველაზე უახლოეს მანძილში დაახლოებით 3 მეტრის დაშორებით. მომიჯნავე ნაგებობა მონოლითურ კრინა-ბეტონის კარკასული

საანგარიშო სქემისაა და ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად არ იქნა გამოვლენილი დეფორმაციებისა და რღვევის ნიშნების კვალი. ჩატარებული კვლევის შედეგად სადემონტაჟო სამუშაოები თავისი მახასიათებლების მიხედვით მომიჯნავე შენობის მიმართ ვერ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას, ვინაიდან სამუშაოების ფარგლებში გამოირიცხება ისეთი სახის დატვირთვების წარმოქმნა, რაც მომიჯნავე შენობის მიმართ იქონიებდა უარყოფით ზეგავლენას და დამატებით გამაგრებით სამუსაოების განხორციელებას არ საჭიროებს.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.017, №01.14.14.003.004 მიწის ნაკვეთები, სადაც განთავსებულია ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობები. აღნიშნული მიწის ნაკვეთები სადემონტაჟო შენობის არელიდან დაცილებულია სკმარისად დიდი მანძილით (დაახლოებით 21-23 მეტრის მოშორებით), რის საფუძველზეც აღნიშნული მიწის ნაკვეთები საპროექტო სამუშაოების ფარგლებში არ განიხილება და ვერ იქონიებს ვერავითარ სახის უარყოფით ზეგავლენას.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.130 (ქ.თბილისი, ქუჩა ყიფშიძე №7 (ნაკვეთი №3/130)) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია თერთმეტ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული შენობა განთავსებულია სადემონტაჟო ნაგებობიდან ყველაზე უახლოეს მანძილში დაახლოებით 11 მეტრის დაცილებით, რის საფუძველზეც აღნიშნულ შემთხვავშიც სადემონტაჟო სამუშაოების გათვალისწინებით გამორიცხულია ყოველგვარი სახის საშიშროების წარმოქმნის საფრთხე და დამატებით ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.003.192 (ქ.თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა №7) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია ერთ სართულიანი და ორ სართულიანი მზიდკედლიანი ტიპის შენობა-ნაგებობები. არსებული ტერიტორია სადემონტაჟო არელიდან ყველაზე უახლოეს მანძილში დაშორებულია დაახლოებით 19-20 მეტრის მოშორებით, რის საფუძველზეც კონსტრუქციული თვალსაზრისით არ არსებობს იმის პირობა დაშესაძლებლობა, რომ იქონიოს ყოველგვარი სახის უარყოფითი ზეგავლენა.

საპროექტო ნაკვეთს, ასევე ესაზღვრება საკ. კოდით №01.14.14.002.076 (ქ.თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა №2ბ) მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია შვიდ სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. აღნიშნული შენობა განთავსებულია სადემონტაჟო ნაგებობიდან საკმარისად დიდი მანძილის მოშოროებით, დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით, რის შედეგად სადემონტაჟო სამუშაოები მომიჯნავე შენობის მიმართ არ იქონიებს არავითარ სახის უარყოფით ზეგავლენას.

რაც შეეხება არსებულ ტერიტორიაზე შენობის იმ ნაწილს, რომელიც რჩება უცვლელი, ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად დგინება, რომ სადემონტაჟო შენობა №1 და №2-ს გააჩნია ტემპერატურული შოვები, თუმცა კარკასი ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია არსებულ შენობასთან შესაძლებელია მათი ჩაჭრა და განცალკევება. აღნიშნული სადემონტაჟო სამუსაოები არ იქონიებსა უარყოფით ზეგავლენას არსებულ ტერიტორიაზე დარჩენილი შენობის ნაწილის მიმართ წარმოდგენილ ორგანიზაციის პროექტში გაწერილი სამუშაოების დაცვის ფარგლებში.

დასკვნა: ჩვენს მიერ შესწავლილი ქ. თბილისი ნიკოლოზ ყიფშიძეს ქუჩა №1 საკადასტრო კოდით №01.14.14.003.122 არსებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის მიხედვით გათვალისწინებული შენობა №1 და №2-ის დემონტაჟი დასაშვებად მიგვაჩნია. აღნიშნული დაუსრულებელი (ორი სართულისაგან შემდგარი) ნაგებობების დემონტაჟი არ გამოიწვევს ზემოთ ხსენებულ მომიჯნავე სამეზობლო საზღვრებში განთავსებული შენობების მიმართ უარყოფით ზეგავლენას, ვინაიდან სადემონტაჟო შენობებს არ გააჩნია არავითარი სახის კონსტრუქციული კავშირი და დაშორებული არიან საკმარისი მანძილებით. სადემონტაჟო სამუშაოები დასაშვებია წარიმართოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად.

ინჟინერ-ექსპერტი: **ა. ყურაშვილი**



სამუშაო გამოცდილება

გვარი, სახელი, მამის სახელი: - ყურაშვილი ალექსანდრე

მისამართი: - ქ.თბილისი, იპ. ხვიჩიას ქუჩა №16, ბინა 11

ტელეფონი: - ტელ: 2 37 55 77
მობ: 5 99 05 70 94
პ/ნ 01024034907

განათლება: - 2002 წელს ჩავაბარე და 2008 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (მაგისტრი)

- მშნებელ-ინჟინერის სამუშაო საქმიანობა და გამოცდილება 2006 წლიდან დღემდე.

-შპს "ვალენტია ინდუსტრია" 2005-2006წწ.

-"სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური" თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის სპეციალისტი 2006-2009 წწ. (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მშენებლობაზე)

- 2009 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი საპროექტო ორგანიზაცია შპს "დიტრიხ"-ში კონსტრუქტორის პოზიციაზე მის: ქ.თბილისის, ბახტრიონის ქუჩა №28

- 2011 წლიდან შპს "ლილეო"– ს დირექტორი თანამდებობა: ინჟინერ-კონსტრუქტორი
- 2018 წლიდან დღემდე შპს "ექსპერტ დეველოპმენტი"-ს დირექტორი, თანამდებობა : ინჟინერ-ექსპერტი

ენების ცოდნა: - ქართული– მშობლიური
- რუსული-კარგად
- ინგლისური-კარგად

სხვა მონაცემები:

კომპიუტერული პროგრამები:
OS: Auto cad; ArchiCAD; Windows XP; Microsoft Office; Internet Explorer; საინჟინრო-გამოთვლითი პროგრამა Lira

2009 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, შესწავლილი მაქვს 200 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ნახაზები, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაპროექტებული მაქვს 600-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 კლასის შენობების კონსტრუქციული პროექტი. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შესრულებული მაქვს 4000 მეტ ობიექტზე საექსპერტო დასკვნები, სადემონტაჟო-სამშენებლო ობიექტების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობების ექსპერტიზა, სარეკონსტრუქციო ნაგებობების ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების საექსპერტო შეფასების შესახებ. ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მეოთხე კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური კომპლექსების, საწარმო ტიპის ნაგებობების პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01024034907

სახელი ალექსანდრე

გვარი ყურაშვილი

დაბადების თარიღი 21.02.1985

დაბადების ადგილი თბილისი

№ დ 1428509

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი ივ.ხვიჩიას ქ. N 16 ბ. 11

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახური

გაცემის თარიღი 11.05.2011

მოქმედების ვადა 11.05.2021

რეგისტრაციის თარიღი 23.06.2001

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრს; შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623



დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო პოლიგრაფიული სახლი კაბადონი
ს.ფ.ს. რეგისტრაციის № 7 - 0158

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. Alexander
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of

Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
18, 2006, Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 06535

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა ალექსანდრე ყურაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9
(წელი, რიცხვი, თვე)
გადაწყვეტილებით

ალექსანდრე ყურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 06535



მაგისტრის
დიპლომი

MASTER'S
DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დამამზადებელი: შპს „ფორმა“
სფს რეგისტრაციის № 04-1599

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

MASTER'S

DIPLOMA

MA № 000505

This is to certify that by the decision June 26, 2008.

of the Civil Engineering faculty

of the **Technical University of Georgia**

Mr. Alexander Kurashvili

born on February 21, 1985.

was awarded an academic Degree of Master with a Major in

Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008. Registration No 00504

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MA № 000505

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საინჟინრო

ფაკულტეტის 2008 წლის 26. 6 გადაწყვეტილებით,

ალექსანდრე ყურაშვილს

დაბადებულს 1985 წლის 21 თებერვალს

მიენიჭა მშენებლობის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 სარეგისტრაციო # 00504

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ექვს დეკემბერს მე, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. N6, მომმართა: **ალექსანდრე ყურაშვილმა**, რომელმაც წარმოადგინა მის მიერ შედგენილი **სამუშაო გამოცდილების** ერთი ეგზემპლარი და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ალექსანდრე ყურაშვილმა** (დაბად.21.02.1985წ. პ/ნ 01024034907, პ/მ ‌დ1428509) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მან განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია **სამუშაო გამოცდილების** შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი **სამუშაო გამოცდილებას**, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს.

ნოტარიუსმა მას განუმარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ **სამუშაო გამოცდილებაზე** მისი ხელმოწერის ნამდვილობას და არა **სამუშაო გამოცდილებაში** მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს და ნამდვილობას. მე მას აგრეთვე განვუმარტე, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

დამოწმებულია ერთი ხელმოწერის ნამდვილობა **სამუშაო გამოცდილების** ერთ ეგზემპლარზე და შესაბამისად გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 0.36 ლარი, ჯამში: 4.36 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსი
თეა მაღალდაძე



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N171419327
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.12.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
სრულიად	თეა მაღალდაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა N6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0322931887
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31278100086917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18